წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 6 ღვინობისთვე 1916 წ. № 221

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ცალკე გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., ჩვეულებრივ განცხადებაში—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს უფრო გვიან 10 კაპ.

უფასოდ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი. საქართველო წელიწადი მეორე.

შესრულებით ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვეურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა დიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

ოვინდის ცყლაპი

სუფთად დამზადებული და აგრეთვე

მურაკის ტყლაპი

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ

ქ. სიღნაღში ნიკო ახმეტელაშვილთან

(3—358—2)

„შრანციის“ ნომრების ძველ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროქაი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარჩაჭით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და გილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—14) დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ნ. გ. ძურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები უველახათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	უავა
ვახშმები	ხაჭაპური
	პიროქაები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

უველასთვის ხელმისაწვდენ ფასზე

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოო ნამდვილი

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე დებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დალმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

ფარმაციზტის ასისტენტიანისა

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროვნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ახალი ძიებისაკენ

გასაოცრად იცვლება ზნე და ხასიათი ხალხისა. ქართველების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა თავდადება მამულისა და თავისუფლებისათვის. საუკუნეები გადიოდა სისხლის ღვრასა და ბრძოლაში, რომ სარწმუნოება და ეროვნება საქართველოს შერჩენოდა ეზიანოდ, ხელუხლებელი. თაობები ამ გრძნობაში ფოლადდებოდენ. ეს იყო საშვილიშვილო ანდერძი, რომელიც ყოველთვის ახალის სისხლით და ახალის წამებითა და მსხვერპლით ნაღდდებოდა. თუ საზოგადოება შეიძლება ითქვას ესა და ეს მორალურ-სულიერი თვისება ერის განუკვეთელ ორგანიულ ნაწილად გადაიქცაო, ეს სწორედ ქართველებისა და საქართველოს აღნიშნულ თვისებაზედ ითქმოდა. წამების ჯვარი რჯულისა და ეროვნებისათვის იშვიათად თუ რომელიმე სხვა ერსა და ხალხს ისე ეზიდოს და შავ-ბნელ დროის წიაღიდან ისე სახელოვნად გამოეტანოს კულტურული ეპოქის ზღურბლზედ, როგორც ეს ქართველობამ და საქართველომ შესძლო. ისტორიული ტოპი ქართველისა სხეულებრივი განპიროვნება იყო ეროვნული სულის დაცვა-შენარჩუნების სიხარბისა. გონებისა და ლოღიკის კატასტროფად უნდა მიეჩნია ისტორიულად ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიის მკვლევარს, იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე ქართველის ფიზიკა დაშორდებოდა საუკუნეებით თან შეზრდილ და შესისხლხორცებულ უმაღლეს სულიერ თვისებას. მაგრამ რაც გონების თვალის ხედვით შეუხებელი და წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო, იმან სინამდვილეში ხორცი შეისხა. თითქოს წარსულ მკაცრ საუკუნეებში სავსებით ამოწურულიყო ქართველი ხალხის ის ენერგია, რომელსაც ამოძრავებდა და აბრძოლებდა სამშობლო და ეროვნება. სულიერ ენერგიის დიდ ხარჯვას მოჰყვა სრული აპატია და მოქანცულობა. ქართველობა ეროვნულმა აპოლიტიზმმა მოიცვა. არ იყო ძიება დაკარგულის. შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ქართველობამ იწყო ეროვნულ თვითგანმტკიცებასა და თვითმბრუნველობას მოკლებული ცხოვრება. ეს იყო ხანა ეროვნულ ვინაობის დაცვისა და თვითშეგნების განელების ხანა. ამ მახინჯ დროში წარმოიშვა „იდეური დასაბუთება“ ეროვნული თვითარსებობის ძიებაზე ხელის აღებისა. მესამე კლასი და მისი გალაშქრება ერის ავტონომიური უფლებების წინააღმდეგ დაგვირგვინება იყო ეროვნული ენერგიის დაკნინებისა. ქართველი დემოკრატია იმდენად, რამდენადაც იგი მესამე დასის დროშის ქვეშ იდგა, თავის სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ აღორძინებისა და აღდგომის წინააღმდეგ გამოდიოდა. თავის წარსულთან კავშირ გაწყვეტილმა დასმა მიივიწყა მრავალი ისტორიული მოვლენა და გაკვეთილი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის განთიადიდან განუწყვეტლივ ჩვენს გარშემო ხდება და რომელიც გვიმტკიცებს, რომ ერის თვითარსებობის აღორძინებას ყოველგან საძირკვლად დასდებია მთელი ხალხის გრძნობა და შეგნება ეროვნული თავდაცვისა. ეროვნული საზღვარი და პოლიტიკა ამ ჩვენს დროში სწორედ ერის დემოკრატიული სიმრავლის ზრუნვის საგნად არის გადაქცეული.

თავის ქვეყნის მთლიანობისა და ხელუხლებლობის დაცვა-აღდგენაში უაღრესად თვით ეს მასსაა დაინტერესებული. ქართველ დასელობის მოღვაწეობის წყალობით კი ქართველი ხალხი გადაეჩვია ეროვნული თვითმართველობის ძიებასა და სიყვარულს.

ამ ყოველად უმგზავსო მოვლენას დღეს თანდათან ნიადაგი ეკარგება. იბადება ახალი მიმდინარეობა. ქართველის არსებას უბრუნდება თვისი ტრადიციული სული თავდაცვისა და თვითარსებობის განმტკიცებისა. იღვიძებს ძალა-მოკრებილი ეროვნული ინსტიკტი და ენერგია. ქართველის პიროვნება მთელდება და მთელი საქართველო სულიერად პოლიტიკური რენესანსის ხანაში გადადის. დაკარგული ძებნა ყველას აინტერესებს. ამ მხრივ ძველი ქართველის ტიპი მკვდრეთით სდგება.

ეს ძიება ფართე მასსაში გადადის, იგი ყველას იპყრობს და ყველას ამოძრავებელ ძალად ხდება. ამ მხრივ ქართველების ცხოვრებაც საერთო კანონს მოჰყვა და მას ისეთივე დასასრული უნდა მიეცეს, როგორც ამ კანონს მოუტანია სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ხალხისათვის.

გ. ვაშაძე.

ომის ამბები

გრძოლის ველზე

ეს ერთი კვირაა თითქმის, რაც რუსეთის მთავარი სამხედრო შტაბი ყოველ დღე გვატყობინებს, რომ კორიტნიცასთან სასტიკი ბრძოლა სწარმოებსო. კორიტნიცა გამაგრებული სოფელია და მდებარეობს ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით. თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილებია საზოგადოთ კოველი და ვლადიმირ-ვოლინი, ამის შესახებ არა ერთხელ გვითქვამს. ლუცკის აღების შემდეგ რუსეთის მხედრობისათვის მორიგ საკითხად სწორედ ეს სტრატეგიული ბაზა-სიმაგრეები გადაიქცა. კარგა ხნობის დუმილის შემდეგ აი, ახლა კიდევაც შეუდგნენ იერიშების წარმოებას და იმედი უნდა ვიქონიოთ-მიზანსაც მალე მიაღწევენ.

თუ რად დაიწყო რუსეთის მხედრობამ სწორედ კორიტნიცასთან შესევა, ეს ძალიან ადვილი ასახსნელია. სწორედ ამ სოფელთან ბრძოლის პირის გარღვევა საშუალებას მისცემს რუსეთის ჯარს გასწყვიტოს და დააშოროს ერთმანეთისაგან გერმანეთის და ავსტრიელების ბრძოლის ხაზი. ამასთანავე გზა გაეხსნება წვერით შემოუაროს ვლადიმირ-ვოლინს და აიძულოს გერმანელები დასტოვონ ეს ქალაქი.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ გალიციის ბედი, მისი საბოლოოდ ხელში ჩაგდება ყოველთვის დამოკიდებულია პოლონეთის ბრძოლის ველისაგან. სანამ მდინარე ვისლა მთელი თავისი ბუნებრივ სიმაგრეებით გერმანელების ხელშია, გალიციაში დამკვიდრება ძალიან ძნელიცაა და სახიფათოც. ყოველად წარმოუდგენელია კარპატებამდე მისვლა, ან და იმათების გადალახვა, თუ მტერი გამაგრებული იქნება მთელ პოლონეთის მიწა-წყალზე. მაშინ ცხადია რუსეთის ჯარს ზურგით გერმანეთის მხედრობა ეყოლება დაბანაკებული და ყოველთვის ხიფათის ქვეშ იქნება, რომ გზები არ მოუჭრას და გალიციაში არ მოიმწყვდიოს.

რუსეთის მთავარ-შტაბი უეჭველია გალიციის ოპერაციების გაფართოებასთან ერთად პოლონეთშიაც შეიჭრებოდა, რათა მთელი ბრუსილოვის არმია უზრუნველ-ეყო შემოვლისაგან. თუ კორიტნიცასთან დაწყებული ბრძოლა კოველი და ვლადიმირის ბედ-იღბალს გადასწყვეტს, მაშინ ლვოვიც საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენ. სახაროვს გზა გაეხსნება, უზრუნველ-ყოფილი იქნება წვერით და თამამადაც დაიწყებს შეტევას. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ ადგილებს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ არიერ მოპირდაპირე საშინელის სისასტიკით უტევს ერთმანეთს და დიდძალ მსხვერპლსაც არა ზოგავს ბრძოლის მოგებისათვის. გუშინდელი რუსეთის მთავარ შტაბის დეპეშის გადმოცემით ბრძოლა ახლა ჩრდილოეთით გადასულა. ამასთანავე გერმანელებს ქარიშხალისებური საარტილერიო ცეცხლი გაუჩაღებიათ. უეჭველია მალე მტრის სასტიკი იერიშები მოჰყვება. ეს ნაცადი ხერხია მათი.

ბევრი აქ დაწყებულ ბრძოლას ფართო დემონსტრაციის ხასიათს აძლევს. დანამდვილებით ამტკიცებენ, ვითომ რუსეთის მხედრობას განზრახვა ჰქონდეს სწორედ ვლადიმერ-ვოლინ თან მიიპყრას მოპირდაპირეს ყურადღება, აიძულოს ჯარები გადმორეკოს რუმინეთის ასპარეზიდან და ნამდვილად კი სხვა ალაგიდან დაიწყოს მთავარი გენერალურ ოპერაციის წარმოება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულება ცოტა არ იყოს ნაადრევია. ვლადიმერ კოველის მიდამოები იმდენად დიდ მნიშვნელოვანი ადგილებია სტრატეგიულ თვალსაზრისით, რომ წინდაწინვე იმის მტკიცება, თუ რა ხასიათს მიიღებს სულ მცირე შეტაკებაც კი, ფრიად საშიშია. ადვილი შესაძლებელია რომელიმე მოპირდაპირეს მართლაც დემონსტრაციის მოხდენა უნდოდეს, მაგრამ იძულებული შეიქნას მოულოდნელად ფართო ბრძოლაში ჩაერიოს. ასეთ შემთხვევასთან არა ერთხელ გვქონია საქმე. ვლადიმერ-ვალინის მიმართულება სწორეთ ასეთ საფრთხეს წარმოადგენს ორივე მოპირდაპირესათვის.

რუმინეთის ასპარეზზე გერმანელები და ავსტრიელები სასტიკ იერიშებს განაგრძობენ.

X.

ომის დეპეშები

5 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ნევდის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა მოპირდაპირის მზვერავები იფრინეს, ოთხი მოჰკლეს, მათ შორის 1 აფიცერი. სკრობოვოს სამხრეთ მიდამოებში სანგრებში მძიმედ დაიჭრა სახელოვანი უფროსი ერთ-ერთი პოლკისა პოლკოვნიკი ივანოვსკი. კოვიტცნიცის ჩრდილოეთ მიდამოებში და ბოლშოვცეს მახლობლად მედგარი ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირეს თავგანწირული კონტრ-იერიშები მოაქვს, ზარბაზნის განუწყვეტელი ცეცხლი უმწვერვალესად გააძლიერეს. ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი და 50 ტყვე. დორნა-ვარტას მიდამოებში მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ზღვის სანაპიროების მიმართულებით ჩვენმა ზარბაზნებმა მარჯვე სროლა აუტეხეს ფოლუს ციხე-სიმაგრეს. ხოზაზის და მამახათუნის შუა კაზაკებმა ვაჟკაცურის შეტევით გაჰფანტეს თავისზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ქურთები და დიდი ზარალი მიაყენეს.

დობრუჯის ბრძოლის ხაზზე სროლაა.

4 ღვინობისთვე.

პარიზი. სომას ჩრდილოეთით გერმანელების ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. სომას სამხრეთით ფრანგები გუშინ შეიჭრნენ სოფ. საისაისელში, სოფლის მისავალში რამდენიმე სახლი დაიჭირეს ბეპამიდან შუაგულ ჯვარედინ გზისაკენ მიმავალ გზაზე. გერმანელები დიდის თავგანწირვით გვიპასუხებდნენ. ბრძოლა გრძელდება. სომას სამხრეთით სენ-ელუას ტყეში ფრანგებმა გერმანელების იერიში მოიგერიეს. ჩვენმა მფრინავებმა, უამინდობის მიუხედავად, გერმანელების ერთი საფრენი ჩამოაგდეს.

გუძარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ზემოფზულის ველში, გრაჟიცის დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მაგრუზის ხეობაში (მადიაზუ-რუსი) ოიტიზას დასავლეთით მოპირდაპირის ექვსი იერიში მოიგერია. ვამა-კრასნასთან, ბუზსუს ველში, მტერი მოვიგერიეთ, დიდად დავაზარალეთ და ბრატოჩისაკენ დავწიეთ. სუზინასთან, პრედეალის აღმოსავლეთით-სიწყნარე გრძელდება. აქ მტერი მოვიგერიეთ და უკან დავწიეთ. ჟიუვალთან მხოლოდ მზვერავთა შეჯახება ხდება. კაინეშში ზარბაზნების სროლა ვითარდება. აქ მტრის ერთი იერიში მოვიგერიეთ ღამე. ჟიუს ველში ორშოვთან ზარბაზნებით ბრძოლაა.

სამხრეთის ასპარეზი. დუნაის დასწვრივ ქვეითა ჯარი ზარბაზნებს ისვრის. დობრუჯში სრული სიჩუმეა.

ლონდონი. სოლუნის ოფიც. ცნობა. სტრუმის ბრძოლის ხაზზე ჩვენმა ზარბაზნებმა ეროლა აუტეხეს კრიტოსს, სერესის სადგურს და ბარაკლიჯუმს. სერესის სამხრეთით ჩვენი მზვერავები მტრის ჯარს მიუახლოვდნენ. დოირანის ბრძოლის ხაზზე, 1 ღვინობისთვეს, ღამე მარჯვეთ ვესროდით მოპირის მიმოსვლის გზას. მზვერავთა შეჯახება გრძელდება. ორივე მხარე ზარბაზნებს ისვრის.

პარიზი. ესენსა, დუიბურგსა და ბრაუნშვეიგის მუშებმა პროტესტი გაცხადეს ლიბკნეხტის დატუსაღების გამო.

გაზ. „ფოლკსრეიხტს“ ატყობინებენ: ავსტრიაში შპეიერის თოფ-ზარბაზნის ქირხანაში დიდი არეულობაა. მუშები ჯარმა დაამშვიდა. მუშებიდან 700 მოკლულია.

5 ღვინობისთვე.

ლონდონი. კურსელეტის ჩრდილოეთით მდებარე სანგრებს მტერმა ხელის ყუმბარები დაუშინა. ადვილად მოვიგერიეთ. შვაბენის რედუტს (პატარა სიმაგრეს) ზარბაზნები დაუშინა და მდუღარე სითხეც იხმარა, მაგრამ დიდის ზიანით მოვიგერიეთ. შვაბენის სიმაგრეზე იერიშის მიტანის დროს გერმანელები საგრძნობლად დაზარალებულან. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 68 ჯარისკაცი, მათ შორის 1 აფიცერი. ინგლისელების ზარალი უმნიშვნელოა.

ლონდონი. სოლუნიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: დივიზიის უფროსად ნამყოფი გენერალი პარასკევოპულოსი ვენიზელოსის მიერ შედგენილ მაკედონიის კორპუსის უფროსად დაინიშნა.

გუძარესტი. ფილიპესკუს დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. პროცესიას მეფის ეტლიც მისდევდა. დაესწრნენ მეფის ოჯახის წარმომადგენელნი, წევრნი მთავრობისა და მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანები.

პეტროგრადი. სახელმწიფო სათათბირო. გუშინ საბიუჯეტო კომისიამ მუშაობა განაახლა. ალექსეენკოს ნაცვლად ფირსოვი თავმჯდომარეობს. ხარჯთ-აღრიცხვის მასალები დაინაწილეს. სურვილი გამოითქვა, რომ მოწვეს რიგდეს სასურსათო საქმე და მალე მოიწვიონ სათათბირო. ხვალ მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, საგანგებო სხდომაა დანიშნული საბიუჯეტო კომისიისა, სასურსათო საკითხის გამოსარკვევად.

ქურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთი.

„ნ. ვრ.“ სწერს: ლონდონის ცნობა, საბერძნეთმა მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილაო. მაგრამ არ ვიცით რომელი მოთხოვნილებანი, რადგანაც დღევანდლამდე იმდენი მოთხოვნილება აქვთ წარდგენილი, რომ თითონ დიპლომატებსაც აღარ ეხსომებათ მათი რაოდენობა. ჩვენ ვიცით, რომ ეს არსებითი ნაბიჯი არ იქნება, რადგანაც ასეთი მოთხოვნილებანი მხოლოდ გარშემო უტრიალებს საქმეს და თვითონ საქმეს კი არსებითად არ ეხება: მეფე კონსტანტინეს თავიდან მოცილებას ვერავინ ჰბედავს, მეფე კონსტანტინე კი დანარჩენზე ყველაფერზე კმაყოფილია, ოღონდ დრო მოიგოს. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ასეთის წჯე-უკუჯეობის წყალობით სისხლი ღვარად მომსკდარა და სარაილის მოქმედება ფერხდება.

წყალქვეშა ნავების თარეში

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: არავინ იცის, თუ სად იმყოფება გერმანეთის სავაჭრო წყალქვეშა „ბრემენ“-ი. ეს წყალქვეშა აწვდის თურმე სხვა წყალ-ქვეშებს ცნობებს სად რომელი სავაჭრო გემი მიემართება.

—

„ნ. ვრემ.“ ეხება გერმანელ წყალქვეშების თარეშს და მეთაურ წერილში ამბობს: „U 53“ წყალქვეშას, ამერიკის ნავთსადგურიდან გამობრუნების მერე, დაუღუპია 9 თუ 12 გემი. დიპლომატებს გარდა დანამდვილებით არავინ იცის თუ რა ეწერა იმ ეპისტოლეებში, რომელიც ვილჰელმისაგან ვილსონისათვის წყალქვეშას მიუტანია. ვფიქრობთ, რომ წყალქვეშა ისეთ მეორე ხარისხოვან საქმის თაობაზე არ წაიღებდა წერილს, ალბად იქ იყო გამჟღავნებული, რომ გერმანეთი წყალქვეშ ბრძოლის განახლებას აპირებს. ეს კი პირდაპირ ვერ განუცხადა ამერიკას, რადგანაც 1916 წ. 7—20 აპრილში დადებულ პირობისა ერიდებოდა. მაშინ კი ამერიკას აღუთქვა, წინასწარ გაუფრთხილებლად და უიარაღო გემებს არას ვეჩხირიო.

ინგლისი

ინგლისის საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა განაცხადა: „ომის გათავება არ შეიძლება თუ ზავი არ იქნება მკვიდრი და ნიღაბ აუფარებელი. არავის არა სურს უმიზნოდ ომის სისხლის ღვრის გაგრძელება და ნგრევა, მაგრამ ჩვენი განწირული ძმები გვეავალებენ ისე მოვიქცეთ, რომ მათი მსხვერპლი უნაყოფოდ არ დარჩეს. მოკავშირეთა მოთხოვნილებანი ცნობილია. ისინი არ არის არც ეგოისტური და არც შურისმაძიებელი. მოკავშირეები თხოულობენ სამართლიან დაკმაყოფილებას წარსულისათვის და უზრუნველყოფას მერმისისათვის.

რუმინეთ ავსტრიის დამოკიდებულება.

ვენაში გამოვიდა „წითელი წიგნი“, რომელიც რუმინეთის საქმეებს ეხება. შიგ მოთავსებულია 111 საბუთის ქაღალდი, რომელიც შეიცავს ავსტრია-რუმინეთის მიწერ-მოწერას 1914 წ. 9 მკათათვიდან 1916 წ. 14 მარიამობისთვემდე.

რუმინეთის მეფე კარლოსი სწერს: უკეთუ რუსეთი ომში ჩაერევა, ავსტრია-უნგრეთს რუმინეთის მომხრეობის იმედი არა აქვს, თუმცა არავითარ ქვეყნიურ ძალას არ ძალუძს რუმინეთს მახვილი აამართვინოს ავტრიის წინააღმდეგ.

მეფე კარლოსის ავადმყოფობის დროს, რუმინეთის ტახტის მემკვიდრე ფერდინანდს უთქვამს: რუმინეთი ყველაფერს იკისრებს, ხოლო რუსეთთან ომის გამოცხადებას კი არასოდესაო.

შემდეგ განუცხადებია: ყოველ საშუალებას ვიხმარ ნეიტრალობა დავიცვა, მაგრამ ხშირად მეფეები თავისი გულის თქმის მიხედვით ვერ იქცევიან და ვფიქრობ, რომ ავსტრია-უნგრეთი თუ დამარცხდა, რუმინეთი საფრთხეში ჩავარდებაო.

1915 წ. 3 მკათათვეს რუმინეთმა იკრძალა ოსმალეთში რუმინეთის გზით საომარ მასალის გადაზიდვა.

1915 წ. 21 ღვინობისთვეს ბრატიანუ არწმუნებდა ავსტრიას, რუსეთის ჯარს ცოცხალითავითრუმინეთის მიწა-წყალზე არ გავატარებო.

26 მკათათვეს 1916 წელს რუმინეთში მყოფი ავსტრიის დესპანი თავის მთავრობას ატყობინებს: ბრატიანუმ გამიზიარა: ავსტრია-უნგრეთი დიდად დაგვეხმარებოდა ნეიტრალობის დაცვაში, თუ ბუკოვინაში დაგვითმობდა რასმე. დესპანს ამაზე უარი ეთქვა იმ მოსაზრებით, რომ რუმინეთი ეხლა ჩვენს დაპირებულსაც მიიღებს და მერე, თუ ავსტრია დამარცხდა, თავსაც დაესხმისო.

როდესაც რუსებმა რუმინეთის მიჯნები გადალახეს, მაშინ მეფემ ავსტრია-უნგრეთის დესპანს განუცხადა: ბრატიანუს მიერ დადებული ხელშეკრულობა ჩემთვის სავალდებულო არ არის, თუმცა მგონია, რომ ჩემი ჯარი არ მოისურვებს რუსეთის ჯარის მიერ საზღვრის გადმოლახვას წინ გადაეღობოსო.

უკანასკნელი დეპეშები

საშემოდგომო კამპანია ავდრების გამო შეჩერებულია. ბრდღის მიდამოებში მოწინააღმდეგე მაგრდება. 20 წყება მავთულების ხლართებისა გაამაგრა და დაზამთრებას აპირობს.

რუსის გემები მანგალიიდან სამხრეთით ბულგარელების პოზიციებს ყუმბარებს ესროდა.

გერმანეთსა და დანიის შორის შეიძლება შეთანხმება მოხდეს. გერმანეთი დანიიდან გაიტანს ტყავეულობას და ცხენებს, ხოლო დანია ხერმანეთიდან საავთიაქო მახალას. კოპენჰაგენში ამ მოკლე ხანში ხამი გვირგვინოსანი ერთმანეთს შეჰხვდება. მათ რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება ექნებათ.

გაზეთ „რეჩის“ ცნობით, მდინარე სომის ფრონტზე გერმანელებს ახალი მაშველი ჯარი გადაჰყავთ მძიმე არტილერიით. თურმე გერმანელები ამ მიდამოებში გარდუვალ კიდლებს და თხრილებს აშენებენ.

გერმანეთის მთავრობას რადიოტელეგრაფით ნეიტრალ სახელმწიფოებისთვის შეუტყობინებია, ვითომც საფრანგეთის მთავრობა თავგამოდებით სცდილობდეს ყორესის საბუთების ხელში ჩაგდებას. ამის გულისთვის მის ოჯახისთვის ნახევარი მილიონი მარკა შეუძლევია, მაგრამ როდესაც უარი მიუღია, ძალით წართმევა მოუწადინებია. ამის გამო ეს საბუთები შვეიცარიაში გადაუგზავნიათ. საბუთებში თურმე ნაჩვენები ყოფილა, რომ საფრანგეთის მთავრობას ომი სწადდა და ამისთვის კიდეც ემზადებოდა. ყორესი ომის დაწყებისთანავე მოკლულ იქმნა. მკვლელმა მოითხოვა, ომის გათავებამდე ნუ გამახამართლებთო და საქმე გადახდეს.

ამ ცნობას გაზეთი „ჰუმანიტე“ უარჰყოფს და დასძენს, რომ ყორესს არავითარი საბუთები არ მოეპოვებოდაო.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა თბ. ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფ. თ. ვ. ბლაგოვიდოვი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა მათ უმაღლესობის მიერ საუზმეზე.

— კიევიდან თბილისში დაბრუნდნენ მათი უმაღლესობანი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლით მილიცა ნიკოლოზის ასულით შვილებით რომან პეტრეს ძით და ნადეჟდა პეტრეს ასულით. სადგურზე მათ უმაღლესობას მეფის ნაცვლის მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული შეეგება.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **მიწადმოქ. მინ. რწმუნებული** კ. ი. შაშკოვსკი შავი ზღვის პირას გაემგზავრა.

◆ **სახალხო განათლ. მინისტრ** გრაფ. იგნატიევისაგან სამადლობელი დეპეშა მიიღეს თბ. ქალთა უმაღლეს კურსების დიდექტორმა სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების გამო.

◆ **კავკ. ლაშქრის მთავარი უფროსი** ინფ. გენერალი იანუშკევიჩი შემწირველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჩუქრები ჯარისკაცთ უნდა გაეგზავნოს მხოლოდ სათბილობელი: ტანთსაცმელი, საცვლები, ფეხსაცმელი და თამბაქო. საჭმელს კი ჯერ-ჯერობით ნუ გაგზავნითო, ვინაიდან მათი მიტანა ფრონტზე, საქმაო გადასატან ვაგონების უქონლობის გამო, ძალიან გვიანდებაო.

◆ **ბოტანიკური ბაღი** ენკენისთვეში დაუთვალიერებია 20 ათას სულს, ხოლო 1 იანვრიდან 1 ღვინობისთვემდის—183000 სულს.

◆ **საქველმ. წარმოდგენა.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ქალთა 1 გიმნაზიის მშობელთა წრეს 21 ღვინობისთვეს წარმოდგენა გამართოს არტისტიულ საზ. დარბაზში თვის საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ **ყარაღთა თავდასხმა.** თბ. გუბერნატორს ატყობინებენ თიანეთიდან რომ სოფ. ხინჩაში 7 შეიარაღებული ყარაღი თავს დასხმია ადგილობრივ მცხოვრებს ტიტიკო ჩარბოდაშვილს, თოფები გულზე დაუმიზნებიათ და 1000 მან. მოუთხოვიათ. როცა მას უარი განუცხადებია, დაუწყვიათ თავპირში ცემა და წამება და თან დაუმატებიათ „ჩვენ ყარაღი ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხკაც მართლაც ხელაღებთ უარყოფა საეკლესიო წესებისა და ღვთისმახურებისა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ფარული ზრახვა და ფიქრები თვითეული გლეხისა, რომელიც უმღვდლოდ ვერა სძლებს და მორჩილებით იხრის თავს მის წინაშე იმ შემთხვევაში, როცა მოსწონავს, ჯვარდაწერან წესსაგები ეყოლება ვინმე სახლში. ქორწილის დღეს თქვენ ხედავთ მღვდელი პირველ რიგში ხან, ის არის მთელი შემთხვევის დამაგვირგვინებელი, აგრეთვე ნათლობაში და უკანასკნელ მოვალეობის აღსრულების დროსაც ამ ქვეყნით წარმავალ განსვენებულთა წინაშე. ვერც ერთი ის გლეხთაგანი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგმობდა და ძრახავდა სამღვდელოებას, საეკლესიო წესების აღსრულების გარეშე ვერ ძლებულობს ცხოვრების მოწყობას. მიუხედავად ამისა, გურიის ეკლესიები მღვდელთა მხრით საშინელ სიცალიერეს განიცდის. აღარ არის ძველი რელიგიურ-სარწმუნოებრივი ადფრთოვანება, სოციალისტურმა კრიტიკამ ბევრ მოხუცსაც კი ჩაუკლა ათეული წლებით ნაწარმოები ქრისტიანული შეხედულება მომავალ საიქიო ცხოვრებაზე. ამის მაგალითები გურიის წარსულ ცხოვრებაში მრავალი მოიპოვება. ერთ სოფელში ცხოვრობდა მცხოვანი მოხუცი, რომელიც უწინ იმთ იყო ცნობილი, რომ ეკლესიაში მუდამ გალობდა, ხოლო ნადიმსა და სადღესასწაულო შემთხვევებში იშვიათი „კრიმანჭულით“ ატკბობდა გაოცებულ მაყურებელთა სმენას. ეს მოხუცი მოძრაობამ იმზომ შეიპყრო და წარიტაცა, რომ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა ერთი ცნობის მოყვარე ინტელიგენტის შეკითხვაზე სთქვა: „რა მინდა ეკლესიაზე, განა თუ ზიარებაშია საქმე, მე კი ვერ შემიძლია ერთი გოგორა პუ-

---

*) იხ. „საქართველო“ № 218.

მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

თავი VII

სოციალისტური კრიტიკა, სინდისის თავისუფლება და სინამდვილე. დასკვნა.

საქართველოს განვლილ მოძრაობის ერთ დამახასიათებელ მხარეთაგანს ეკუთვნის სარწმუნოებრივი გრძნობის ცხოველმყოფელობის განელება და თითქმის აბუჩადაც აგდება მთლად რელიგიურ ღირებულებათა. გურიის დასელებმა ამ მხრით მეტად ცუდი სამსახური გაუწიეს ქართულ საეკლესიო ცხოვრების აღორძინებას და დაკარგულ უფლებათა დაბრუნების საქმეს.

